ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №192

ქ. ბათუმი

9 ნოემბერი, 2016 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ბათუმი კორპუსი", ს/კ 445413525, იურ. მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ფაქტ. მის.: ლერმონტოვის №90ᵃ (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ შპს „რეკონსტრუქცია XXI", ს/კ 400164326, იურ. მის.: ქ. თბილისი, გლდანი ნაძალადევის რაიონი, გლდანის მასივი, V მიკრო რაიონი, კორპუსი №18 (შემდგომში „მიმწოდებელი")

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება), რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (გადაუდებელი აუცილებლობა) ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩა № 9 ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ჩამონგრეული კედლის აღდგენისა და სახურავის მოწყობის შესყიდვა (CPV45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, CPV45262690 - ჩამოქცეული/დანგრეული შენობების აღდგენა; CPV45261210 - სახურავის გადახურვა; CPV45261910 - სახურავის შეკეთება) სახელმწიფო შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით „შემსყიდველის" მიერ გადახდილი უნდა იქნეს „მიმწოდებელზე", შეადგენს 75503,47 (სამოცდათხუთმეტიათასხუთასსამი ლარი და 47 თეთრი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

3. ხელშეკრულების სხვა ზოგადი პირობები:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

გ) ტექნიკური პირობები;
დ) ფასების ცხრილი;
ე) სპეციფიკაციები და ნახაზები.

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით, თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე.

6. სამუშაოების შესრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 01 თებერვალი

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 10 მარტი.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსი“ ს/კ 445413525 იურ. მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25 ფაქტ. მის.: ლერმონტოვის ქ. №90 ა; „სახელმწიფო ხაზინა“ ბ/კ TRESGE22 ანგ. №GE24NB0330100200165022 დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: დავით კასრაძე batumiskorpusi@gmail.com	შპს „რეკონსტრუქცია XXI, ს/კ 400164326; იურ.მის.: ქ. თბილისი, გლდანი ნაძალადევის რაიონი, გლდანის მასივი, V მიკრო რაიონი, კორპუსი №18; სს „საქართველოს ბანკი“ ბ/კ: BAGAGE22 ანგ. №GE55BG0000000695813800 დირექტორი: გელა ხარჭამაძე ტელ: 555 57 07 78
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

შემსყიდველი: ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსი“, ს/კ 445413525

მიმწოდებელი: შპს „რეკონსტრუქცია XXI, ს/კ 400164326;

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი მისი წარმომადგენლის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას;
2.2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ;
2.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით;
2.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
2.5. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები;
2.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები;
2.7. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლს, შესრულებული სამუშაოების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ ტექნიკური განყოფილების და რწმუნებულების განყოფილების ტექნიკური ზედამხედველი არჩილ ვარშანიძე. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება - ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლებრივი აქტით მიანიჭოს ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის აქტით გადანაწილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას

და იგი ძალაში შედის შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;
2.8. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლის, შესრულებული სამუშაოების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების 2.7. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული სამუშაოების კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.
3.2. მხარეები ყოველთვიურად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.
3.3. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

4. დაზღვევა

მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს: მუშა-მოსამსახურე პერსონალი უბედური შემთხვევისაგან და მესამე პირთა მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

5. თანმდევი მომსახურება

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან.
5.2. სამუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.
6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება [illegible] სამუშაოების შესრულების ადგილზე.

6.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.4. ხელშეკრულების მიმწოდებლის ბრალით შეწყვეტის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარებას არ ექვემდებარება სამუშაო, რომელიც განმეორებითაა შესასრულებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაგრძელების შემთხვევაში ან რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან/და საყოველთაოდ აღიარებულ ხარისხს (პირობებს). მტკიცების ტვირთი, რომ შესრულებული სამუშაო ექვემდებარება მიღება-ჩაბარებას, ეკისრება მიმწოდებელს.

7. ანგარიშსწორება

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

გ) შესრულებული სამუშოების ანაზღაურება (ანგარიშსწორება) მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად შემდეგი წესით:

გ.ა) შესრულებული სამუშაოების (თითოეული ეტაპის) ღირებულების 85 % - მიღება- ჩაბარების აქტის, გადახდის სერთიფიკატის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

გ.ბ) შესრულებული სამუშაოების ღირებულების დარჩენილი 15 % - სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემდეგ. იმ შემთხვევაში თუკი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მოხდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების კორექტირება, კორექტირებული მიღება-ჩაბარების აქტების, გადახდის სერთიფიკატების გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის კორექტირებიდან) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8. სამუშაოს შესრულებისა ვადა:

სამუშაოების შესრულების ვადაა 2017 წლის 01 თებერვალი.

9. გარანტია-დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი.

საგარანტიო პერიოდი შეადგენს 12 თვეს სამუშაოების დასრულებიდან.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5%-ის ოდენობით;

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
10.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;
11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;
11.5. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, შეიძლება მხარეების მიერ ხელმოწერილი იქნას ცალცალკე და ხელშეკრულების მეორე მხარეს ხელმოსაწერად გაეგზავნოს ფოსტის მეშვეობით.ასეთ დროს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმებაში უნდა მიეთითოს თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის თარიღი და უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღს, მაგრამ არაუადრეს შეთანხმებაზე პირველი ხელმოწერის შესრულების თარიღისა. აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში შეთანხმება ძალაში შედის მასზე ბოლო ხელმოწერის შესრულების დღიდან;
11.6. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმება მხარეების მიერ შეიძლება ხელმოწერილი იქნას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ხელმოწერილი შეთანხმების ერთი პირი გაეგზავნოს ხელშეკრულების მხარეს. ასეთ დროს სავალდებულოა, რომ ხელშეკრულების თითოეული მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების ტექსტი იყოს იდენტური და იგი შედგენილი იყოს ორმხვრივი შეთანხმებისათვის დადგენილი ფორმით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თითოეული მხარის მიერ ხელმოწერილი ტექსტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ ხელმომწერი მხარის ხელმოწერის უფლებას იურიდიული მისამართისა და საბანკო რეკვიზიტების მითითებით. ასეთ დროს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმებაში უნდა მიეთითოს თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის

რიღი და უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღს, მაგრამ არაუადრეს შეთანხმებაზე პირველი ხელმოწერის შესრულების თარიღისა. აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში შეთანხმება ძალაში შედის მასზე ბოლო ხელმოწერის შესრულების დღიდან;

11.7. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე ორმხვრივ შეთანხმებას უთანაბრდება მხარეთა მიერ ერთმანეთისადმი გაგზავნილი წერილობითი დოკუმენტები, როცა ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ გამოვლენილი ნება მიღებული იქნება ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ და საპასუხო წერილობითი დოკუმენტით პირდაპირ აცნობებს მისი თხოვის დაკმაყოფილების თაობაზე. ასეთი წერილობითი დოკუმენტი პირდაპირ უნდა შეიცავდეს, ხელშეკრულების რომელი პირობა იცვლება და როგორია ხელშეკრულების შეცვლილი პირობა ან/და ხელშეკრულებას რა შინაარსის პირობა დაემატა. წინამდებარე პუნქტის შესაბამისად ხელმოწერილ წერილობით დოკუმენტს ორმხვრივი შეთანხმების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებზე ხელმოწერის უფლების მქონე პირი;

11.8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით ხელშეკრულების ვადის-(ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის)გაგრძელების საკითხის განხილვისას,თუ მიმწოდებელი სამუშაოების შესრულებას ახორციელებდა ხელშეკრულებისდანართი გრაფიკის შესაბამისად,თუნდაც რომ გრაფიკით დადგენილ ვადაში სამუშაოს შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ იყოს პირგასამტეხლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას მიმწოდებლის მიერხელშეკრულების თანდართული გრაფიკით დადგენილ ვადაში სამუშაოთა შესრულების მდგომარეობა,რა დროსაც,თუ დადასტურდა, რომ ხელშეკრულების(ვალდებულების შესრულების)საბოლოო ვადის დარღვევა განაპირობა ხელშეკრულების თანდართული გრაფიკით დადგენილ ვადაში სამუშაოთა ბრალეულმა შეუსრულებლობამ,დაუშვებელიაბელშეკრულების(ვალდებულებისშესრულების)საბოლოოვადის გაგრძელება.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით;

12.3. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით განსახორციელებლად

ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ აბდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე;

12.4. 16.3. პუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განუხილველობა ან ხელშეკრულების მხარისათვის ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე უარის უსაფუძვლობა დადასტურებული უნდა იყოს ზემდომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს აქტით;

12.5. წინამდებარე პუნქტი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა პუნქტით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა:

13.1. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

13.1.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა შემსყიდველის თანხმობის გარეშე, გარდა ამ პუნქტის 13.1.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

13.1.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შედეგად ამ პუნქტის 13.1.3. და 13.1.4. პუნქტების შესაბამისად;

13.1.3. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

13.1.3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში;

13.1.3.2. თუკი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

13.1.3.3. მიმწოდებელი შემსყიდველის გაფრთხილების მიუხედავად მისთვის გადაცემულ ქონებას ან/და ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას თვითმმართველ ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ სხვა ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან უქმნის ასეთი დაზიანების რეალურ საშიშროებას;

13.1.3.4. მიმწოდებლის მიერ გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულების იმავე პირობების განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;

13.1.3.5. ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტის) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;

13.1.3.6. წინამდებარე ხელშეკრულების 10.2. პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას;

13.1.3.7. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

13.1.3.8. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.1.3.9. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
13.1.3.10. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
13.1.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულება ცალმხვივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):
13.1.4.1. არ მოხდა შემსყიდველის მიერ იმ ობიექტის დროულად გამოთავისუფლება და მიმწოდებლისათვის ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით გადაცემა, სადაც ან რომელზეც უნდა განხორციელდეს სამუშაოს შესრულება, თუ აღნიშნული მდგომარეობა გაგრძელდა ოთხ თვეზე მეტ ხანს;
13.1.4.2. თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
13.1.4.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;
13.2. ხელშეკრულება წყდება ნაკისრი ვალდებულების შესრულების გამო;
13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;
13.4. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხვრივად მოშლა (შეწყვეტა) დასტურდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
13.5. მიმწოდებლის მიერ აღნაგობის ხელშეკრულების ცალმხვრივად მოშლა (შეწყვეტა) დასტურდება განცხადების საფუძველზე, რომელზეც მიმწოდებლის მხრიდან უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერა დადასტურებული უნდა იყოს სანოტარო წესით და რომელიც პირდაპირ უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ გამოვლენილ ნებას, რომ იგი ცალმხვრივად შლის (წყვეტს)ხელშეკრულებას;
13.6. ხელშეკრულების მიმწოდებლის ბრალით მოშლის (შეწყვეტის) შემთხვევაში შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებით გამოიყენება წინამდებარე ხელშეკრულების 8.5. პუნქტის მოთხოვნები;
13.7. ხელშეკრულების შემსყიდველის ბრალით მოშლის (შეწყვეტის) შემთხვევაში ხდება შესრულებული სამუშაოს სრულად ანაზღაურება.

14. დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი) და დაუძლეველი ძალის გარემოება:

14.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი და/ან დაგვიანებით შესრულების გამო პასუხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებებით, რაც ასევე არ გამოიწვევს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას;
14.2. ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალის გარემოება" ნიშნავს მხარეთა ნებისა და კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია მიუხედავად მხარეთა გონივრული მცდელობებისა და რომელთაც მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით:
ა) ომი, სამხედრო მოქმედება, რეკვიზიცია, ბლოკადა, მობილიზაცია, ემბარგოს;
ბ) აჯანყება, რევოლუცია, სამხედრო ან უკანონო ქმედება ან სამოქალაქო ომი;

გ) ამბოხი ან საბოტაჟი;

დ) საზოგადოების მტრების ან ტერორისტების მოქმედებები;

ე) სტიქიური უბედურებები (ქარიშხლი, ქარბორბალა, წყალდიბობა და სხვა), ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება

ვ) სხვა გარემოებები, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულია ფორს–მაჟორულ გარემოებად ან/და რომელიც ასეთად იქნება აღიარებული ხელისუფლების ორგანოების მიერ.

14.3. დაუძლეველი ძალის გარემოების გამო მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ იმ დროთა და მოცულობით, რაც აუცილებელია დაუძლეველი ძალის სიტუაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებისათვის. დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედების დროს მხარემ, რომელზეც იმოქედებს ასეთი გარემოება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების შესახებ და მიაწოდოს ასეთი გარემოების დამამტკიცებელი სათანადო საბუთი და მისი ხანგრძლივობის სავარაუდო ვადა და შედეგები და ორივე მხარემ უნდა მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ შეამცირონ მეორე მხარისადმი ზარალის ოდენობა, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებით;

14.4. თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები გაგრძელდა 2 (ორი) თვეზე მეტი ხნის ვადით, ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა (მოშლა);

14.5. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე, მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. ამასთან, ხელშეკრულების პირობების შეცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ დროთა და მოცულობით, რაც აუცილებელია დაუძლეველი ძალის სიტუაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებისათვის;

14.6. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის არცერთ შემთხვევაში ფორს-მაჟორულ გარემოებას არ წარმოადგენს მხარეთა ფინანსური სიძნელეები, საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან ურთიერთობის გამო დამდგარი შედეგები და კლიმატური პირობები, გარდა სტიქიური უბედურებებისა, რამაც მთლიანად ან ნაწილობრივ გაანადგურა ხელშეკრულების პირობების (ხარისხის) შესაბამისად შესრულებული სამუშაო ან შეუძლებელი გახადა მისი შესრულება;

14.7. მიმწოდებელი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი და/ან დაგვიანებით შესრულების გამო პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაშიც, როცა მას შესრულება უნდა მიეღო მესამე პირისაგან და ასეთი ვერ მიიღო, თუ მესამე პირმა მიმწოდებელის წინაშე ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა ფორსმაჟორული გარემოებების გამო.

15. სუბკონტრაქტორები

15.1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს [illegible] ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, [illegible] ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში;

15.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ას-

ლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;
15.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;
16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს;
16.3. სასამართლოში სადაო საკითხის განხილვისას გამოიყენება სართველოს კანონმდებლობა;
16.4. რადგან ხელშეკრულების შესრულების ადგილს წარმოადგენს ქ. ბათუმი, სადაო საკითხის განხილვის მოთხოვნით მიმართვა ხდება ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის" ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული სასამართლოსადმი.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

19. შეტყობინებები:

19.1. შეტყობინების წესი:
შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს გამგზავნი მხარის მიერ ან მისი სახელით, გაეგზავნოს მხარეს, რომელიც არის მისი ადრესატი და მიეწოდოს ამ მხარეს მისამართზე, რომელიც მითითებულია 19.2 პუნქტში, ან უკანასკნელ მისამართზე, რომელიც მხარემ შეტყობინების მეშვეობით განსაზღვრა შეტყობინებებისთვის წინამდებარე ხელშკრულების შესაბამისად. მხარისთვის გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება უნდა იყოს ქართულ ენაზე ან თან ახლავდეს ქართული თარგმანი;
19.2. შეტყობინების მისამართი და შეტყობინების დრო:
შეტყობინება უნდა გადაეცეს ხელიდან ხელში ან გაიგზავნოს ფოსტის მეშვეობით, და წინამდებარე ხელშეკრულების და ყველა სხვა მიზნისთვის [illegible] ჩაითვლება მიწოდებულად:

REKONSTRUGCIA-XXI LTD 400164326

(ა) ხელიდან ხელში გადაცემისას: როდესაც ის პირადად მიეწოდება მხარეს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან უკანასკნელ მისამართზე, რომელიც მხარემ შეტყობინების მეშვეობით განსაზღვრა შეტყობინებებისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსი“ იურიდ.მის: ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25 ფაქტ.მის:ქ.ბათუმი, ლერმონტოვის 90ª	შპს „რეკონსტრუქცია XXI“, ს/კ 400164326, იურ. მის.: ქ. თბილისი, გლდანი ნაძალადევის რაიონი, გლდანის მასივი, V მიკრო რაიონი, კორპუსი №18

(ბ) კურიერული ფოსტა: თუ გაიგზავნა ფოსტის მეშვეობით 19.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მისამართზე, რაც დასტურდება კურიერის მიწოდების დასტურის ჩანაწერებში;
შეტყობინებები, რომლებიც მიღებულია უქმე დღეს ან სამუშაო დღის 17.00 საათის შემდეგ ჩაითვლებიან მიღებულად შემდეგ სამუშაო დღეს.

20. სხვა პირობები:

20.1. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება შეესაბამება მათ მიერ გამოვლენილ ნებას და ნების გამოვლენისას მათზე რაიმე სახის ძალადატანებას ადგილი არ ჰქონია. ასევე ადასტურებენ, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას სწორედ აღნიშნული შინაარსით;
20.2. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ყოველი ეგზემპლარის თითოეული გვერდი დამოწმებულია ა(ა)იპ „ბათუმი კორპუსის“ ბეჭდით. თითოეულ ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;
20.3. სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ ასრის წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

ტექნიკური პირობები

ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩა № 9 ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ჩამონგრეული კედელის აღდგენისა და სახურავის მოწყობის შესყიდვა (CPV45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, CPV45262690 - ჩამოქცეული/დანგრეული შენობების აღდგენა; CPV45261210 - სახურავის გადახურვა; CPV45261910 - სახურავის შეკეთება) სახელმწიფო შესყიდვა.

სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა:

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

ა) შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს სამუშაოა დგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

გ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;

დ) მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის დამტვრის გავლენა გარემოზე;

ე) ყველა სახის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება შეთანხმებული უნდა იყოს ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსთან", წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით;

ვ) სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით სამი დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;

ზ) სამუშაოების წარმოების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და დგენილ წესებსა და ნორმებს.

სამუშაოთა შესრულების წესი

ა) შემსრულებელი სამუშაოებს აწარმოებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე;

ბ) სამუშაოების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავით და ხელშეკრულების პირობებით. შემსრულებელმა უნდა აწარმოოს ფარული სამუშაოების აქტები იმ სამუშაოებზე, რომლებზეც საჭიროა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოება;

გ) შემსრულებელმა უნდა აწარმოოს საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია. სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსყიდველს უნდა წარუდგინოს პროექტის შესრულების შესახებ საერთო ანგარიში (დასურათებული, ელექტრონული და ბეჭდური ფორმით). სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შუქნიშნების დაყენება;

დ) მშენებლობის დროს აუცილებელია СНиП-ებით ხელმძღვანელობა, შესრულება და დაცვა მათი მოთხოვნებისა შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკაში. მშენებელი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალ-

400164326 REKONSTRUGCIA-XXI LTD

ებებით და ასევე უნდა სრულდებოდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებებიც. აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის და ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედი წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვა.

სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

ა) სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა. ამ ჟურნალში ტექზედამხედველი სისტემატიურად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ. ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები;

ბ) მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ნორმატიული დოკუმენტები

მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სტანდარტების მიხედვით СНиП II-26-76

ფასების ცხრილი

საერთო სამშენებლო სამუშაოებზე ქ. ბათუმში ჭავჭავაძის ქ. №9 სახურავის მოწყობასა
და სახლის ნაწილის აღდგენაზე

№	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა		სახარჯთ-აღრიცხვო ღირებულება	
				განზომილების ერთეულზე	საპროექტო მონაცემებზე	განზომილების ერთეულზე	სულ
1.0	2	3	4	5	6	7	8
1	საბაზრო	გადახურვის დროებითი გამაგრება ხის ძელებითა და ლითონის დანგრატებით (მოწყობა და დაშლა; (სამშენებლო დანგრატების ქირაობა)	კვმ		25.00		2043.64
1.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	0.714	17.85	6.00	107.10
1.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი	0.02928	0.73	3.20	2.34
1.3		სამშენებლო დანგრატების ქირაობა	ცალი	-	78.00	3.00	234.00
1.4		ხის ძელი 20*16 ბიჯი 60 სმ	კბმ	-	3.30	450.00	1485.00
1.5		სხვა მასალები	ლარი	2.69	67.25	3.20	215.20
2	საბაზრო	არსებული დაზიანებული ნაწილის დაშლა თანმიმდევრობით	კბმ		49.00		1364.16
2.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	4.800	235.20	4.60	1081.92
2.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი	1.8000	88.20	3.20	282.24
3	სნ და წ 1-79_3	სამშენებლო ნარჩენებისა და ნაგავის შენობიდან გამოტანა, ა/თვითმცლელებზე დატვირთვა	კბმ		49.00		759.60
3.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	3.37	165.13	4.60	759.60
4	საბაზრო	სამშენებლო ნანგრევების გატანა, ავტომანქანით 10 კმ-მდე მანძილზე	1 ტ		117.60	7.00	823.20
5	s.n.daw. 1-80	მიწის სამუშაოები	კბმ		7.800		85.00
5.1	k-1,15	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	2.369	18.4782	4.60	85.00
6	s.n.daw. 6-1-1 misad	ბეტონის მომზადება საძირკვლის ქვეშ ბეტონი B7,5	კბმ		1.00		123.83

400164326

6.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	1.37	1.37	4.6	6.30
6.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი1	0.283	0.28	3.20	0.90
6.3		ბეტონის ტუმბო	კუბ.მ.	1.015	1.02	12.4	12.65
6.4		ბეტონი B7,5	კბმ	1.020	1.02	100.00	102.00
6.5		სხვა მასალები	ლარი1	0.62	0.62	3.20	1.98
7.0	s.n.da w. 6-1-5 misad	მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის მოწყობა ბეტონი B20	100 კბმ		0.10		2959.70
7.1	k-1,15	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	765.90	76.590	4.60	352.31
7.2	k-1,15	სხვადასხვა მანქანები	ლარი1	67.85	6.79	3.20	21.73
7.3		ბეტონის ტუმბო	კუბ.მ.	101.5	10.15	12.4	125.86
7.4		ბეტონი B20	კბმ	101.50	10.15	120.00	1218.00
7.5		არმატურა	კგ	-	750.00	1.20	900.00
7.6		ფარი ხის	კვმ	160.00	16.00	15.50	248.00
7.7		ხე მასალა	კბმ	1.83	0.18	450.00	81.00
7.8		სხვა მასალები	ლარი1	40.00	4.00	3.20	12.80
8.0	s.n.da w. 1-79	გრუნტის უკუჩაყრა	100 კბმ		0.042		26.88
8.1	k-1,15	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	139.15	5.8443	4.60	26.88
9.0	საბაზრო	ზედმეტი გრუნტის დატვირთვა და გატანა 5 კმ-მდე მანძილზე	კბმ		14.00		277.24
9.1	k-1,15	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	2.36	33.0	4.6	151.80
9.2	srf	ტრანსპორტირება	ტ	-	24.50	5.12	125.44
10.0	sn da w 6-12-4	რკინაბეტონის მონოლითური სვეტების მოწყობა ბეტონი B20	100 კბმ		0.04		1597.99
10.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	1330	53.20	4.60	244.72
10.2		მანქანები	ლ	336	13.44	3.20	43.01
10.3		ბეტონის ტუმბო	კუბ.მ.	101.5	4.06	12.4	50.34
10.4		ბეტონი B20	კუბ.მ.	101.5	4.06	120.00	487.20
10.5		არმატურა	კგ	-	400	1.20	480.00
10.6		ხის ფარი	კვ.მ.	242	9.68	15.50	150.04
10.7		ხე მასალა	კუბ.მ.	6.48	0.26	450.00	117.00
10.8		ელექტროდი	კგ	150	6.00	3.00	18.00
10.9		სხვადასხვა მასალები	ლარი	60	2.40	3.20	7.68
11.0	sn da w 6-15-1	რკინაბეტონის მონოლითური სარტყელის მოწყობა ბეტონი B20	100 კბმ		0.016		597.40
11.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	1110	17.76	4.60	81.70
11.2		მანქანები	ლ	96	1.54	3.20	4.93
11.3		ბეტონის ტუმბო	კუბ.მ.	101.5	1.62	12.40	20.09
11.4		ბეტონი B20	კუბ.მ.	101.5	1.62	120.00	194.40
11.5		არმატურა	კგ	-	176	1.20	211.20
11.6		ბის ფარი	კვ.მ.	205	3.28	15.50	50.84
11.7		ხე მასალა	კუბ.მ.	3.08	0.05	450.00	22.50

11.8		ელექტროდი	კგ	170	2.72	3.00	8.16
11.9		სხვადასხვა მასალები	ლარი	70	1.12	3.20	3.58
12	ს.ნ.და წ. 6-16-1	**მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის ფილისა და კიბის მოწყობა ბეტონი B15**	**100 კბმ**		**0.150**		**4843.85**
12.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	840	126	4.6	579.60
12.2		ბეტონის ტუმბო	კბმ	101.50	15.23	12.4	188.85
12.3		სხვადასხვა მანქანები	ლარი	81	12.15	3.2	38.88
12.4		ბეტონი B15	კბმ	101.5	15.2	110.00	1672.00
12.5		არმატურა	კგ	-	1500	1.20	1800.00
12.6		ხის ფარი	კვმ	137	20.6	15.50	319.30
12.7		ხე მასალა	კბმ	3.66	0.5	453	226.50
12.8		სხვა მასალები	ლარი	39	5.85	3.2	18.72
13	s.n.da w. 8-15-1	**კედლის მოწყობა 40*20*20 ბეტონის ბლოკებით**	**1 კბმ**		**29.70**		**3102.94**
13.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	3.36	99.79	6.00	598.74
13.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი	0.92	27.32	3.20	87.42
13.3		ცემენტის ხსნარი	კბმ	0.11	3.27	110.00	359.70
13.4		ბლოკი 40*20*20	ცალი	62.50	1856.25	1.10	2041.88
13.5		სხვა მასალები	ლარი	0.16	4.75	3.20	15.20
14	s.n.da w. 8-15-1	**კედლის მოწყობა 40*20*10 ბეტონის ბლოკებით**	**1 კბმ**		**2.80**		**345.26**
14.1	k-1,15	შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	3.36	9.41	6.00	56.46
14.2	k-1,15	სხვადასხვა მანქანები	ლარი	0.92	2.58	3.20	8.26
14.3		ცემენტის ხსნარი	კბმ	0.11	0.31	110.00	34.10
14.4		ბლოკი 40*20*10	ცალი	125.00	350.00	0.70	245.00
14.5		სხვა მასალები	ლარი	0.16	0.45	3.20	1.44
15		**ახალი კედლის ლესვა ქვიშა ცემენტის ხსნარით**	**კვმ**		**182.00**		**1592.98**
15.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	1.01	183.82	6.00	1102.92
15.2		ხსნარის ტუმბო 1 კუბ/სთ	მან/სთ	0.04	7.28	6.35	46.23
15.3		სხვადასხვა მანქანები	ლ	0.03	5.46	3.2	17.47
15.4		ქვიშა ცემენტის ხსნარი	კუბ.მ.	0.0212	3.86	110	424.60
15.5		სხვა მასალები	ლ	0.003	0.55	3.2	1.76
16	ს.ნ.და ნ. 15-168-7	**შიდა კედლების, კარისა და ფანჯრის ფერდოების შეღებვა მაღალხარისხოვანი საღებავით**	**კვმ**		**182.00**		**1264.22**
16.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	0.658	119.76	6.00	718.56
16.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი	0.010	1.82	[illegible]	[illegible]
16.3		საღებავი	კგ	0.63	114.66	4.00	458.64
16.4		ფითხი	კგ	0.79	143.78	0.50	[illegible]

REKONSTRUGCIA-XXI LTD 400164326

16.5		სხვა მასალები	ლარი	0.016	2.91	3.20	9.31
17	ს.ნ.და ნ. 46-28-4	არსებული სახურავის დაშლა, მოლარტყვის ფენილის დაშლა	კვმ		325.00		256.90
17.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	0.16	52.00	4.60	239.20
17.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი1	0.017	5.53	3.20	17.70
18	საბაზრო	სამშენებლო ნანგრევების სახურავიდან ჩამოზიდვა და ა/მანქანებზე დატვირთვა	კბმ		32.50		503.84
18.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	3.37	109.53	4.60	503.84
19	სრფ	სამშენებლო ნანგრევების გატანა ა/მანქანებით	ტ		19.50	7.00	136.50
20	s.n.daw. 10-11	ხის სანივნივე სისტემის შეცვლა	კბმ		9.50		7035.59
20.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	38.08	361.76	6.00	2170.56
20.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი1	3.36	31.92	3.20	102.14
20.3		ხე მასალა	კბმ	1.05	9.98	431.00	4301.38
20.4		ტოლი რუსული	კვმ	3.38	32.11	1.20	38.53
20.5		პასტა ანტისეპტიკური	კგ	1.96	18.62	3.00	55.86
20.6		შესაკრავი მავთული	კგ	4.38	41.61	2.20	91.54
20.7		ლურსმანი სამშენებლო	კგ	7.20	68.40	2.50	171.00
20.8		სხვა მასალები	ლარი1	3.44	32.68	3.20	104.58
21.0	სნ და ნ 10_38_3	ხის კონსტრუქციების ანტისეპტირება	100 კვმ		3.17		653.38
21.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	4.24	13.44	6.00	80.64
21.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი1	0.21	0.67	3.20	2.14
21.3		ხსნარი ანტისეპტიკური	კგ	150.00	475.50	1.20	570.60
22	სნ და ნ 10_37_3	ხის კონსტრუქციების დამუშავება ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით	100 კვმ		3.17		318.60
22.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	3.03	9.61	6.00	57.66
22.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი1	0.41	1.30	3.20	4.16
22.3		ხსნარი ცეცხლგამძლე	კგ	32.40	102.71	2.50	256.78

REKONSTRUGCIA-XXI LTD 400164326

23	ს.ნ.დაწ. 12-6-1 მისადაგებით	ფერადი პროფილირებული (0,50 მმ სისქის) თუნუქის სახურავის მოწყობა ახალი ხის მოლარტყვის მოწყობით სახურავის ქანობიდან წყალშემკრებ ღარში ფერადი თუნუქის ფურცლების მოწყობით	100 კვმ		3.17		7673.93
23.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	43.90	139.16	6.00	834.96
23.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი1	3.50	11.10	3.20	35.52
23.3		ფერადი პროფილირებული თუნუქის (0,50 მმ)	კვმ	110.00	348.70	12.80	4463.36
23.4		ხე მასალა	კბმ	1.19	3.77	450.00	1696.50
23.5		მეტალოკრამიტის სწორი ფურცელი	ტ	0.03	0.095	2800	266.00
23.6		ნაჭედი	კგ	15.00	47.55	2.20	104.61
23.7		მეტალოკრამიტის შურუპი 1 კვმ-ზე 6 ცალი	ცალი	-	1902.0	0.10	190.20
23.8		სხვა მასალები	ლარი	8.16	25.87	3.20	82.78
24.0	ს.ნ.და წ. 11-8--1-2	ცემენტის მჭიმის მოწყობა 4-5 სმ სისქის	კვმ		41.0		242.55
24.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	0.21	8.61	6.00	51.66
24.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი1	0.02	0.82	3.20	2.62
24.3		ცემენტის ხსნარი მოსაპირკეთებელი	კბმ	0.04	1.64	110.00	180.40
24.4		სხვა მასალები	ლარი1	0.06	2.46	3.20	7.87
25.0	ს.ნ.და წ. 11-20-3	იატაკზე კერამიკული ფილების მოწყობა წებო-ცემენტით ხაოიანი ზედაპირით (აივნების ჩათვლით)	კვმ		41.00		903.64
25.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	1.08	44.28	6.00	265.68
25.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი1	0.05	2.05	3.20	6.56
25.3		კერამიკული ფილები ხაოიანი ზედაპირით	კვმ	1.02	41.82	12.00	501.84
25.4		წებო-ცემენტი	კგ	-	246.00	0.50	123.00
25.5		სხვა მასალები	ლარი1	0.05	2.05	3.20	6.56
26.0	ს.ნ.და წ. 15-168-6--8	მოაჯირი კიბესა და აივნებზე, ლითონის, შეღებილი	გრძმ		47.0	65.00	3055.00
27.0	ს.ნ.და წ. 15-168-6--8	შეკიდული ჭერის მოწყობა პლასტიკატით აქსესუარებით ლითონის კარკასზე	კვმ		34.0	12.20	414.80
28.0	ს.ნ.და წ. 15-168-6--9	მეტალოპლასტმასის კარისა და ფანჯრის ბლოკების მოწყობა	კვმ		12.0	120.00	1440.00

400164326

29.0	საბაზრ ო	ლითონის თოვლდამჭერი პარაპეტის მოწყობა აქსესუარებით სამაგრებით მოაჯირის 1,0 მ ზიჯით მყარად ჩამაგრებით, უჟანგავი თვითმჭრელი შურუპებით, შეღებვით	გრძმ		42.00	18.00	756.00
30.0	სნდაწ 12_8_1	ფერადი თუნუქის წყალშემკრები ღარის მოწყობა	100 გრძმ		0.47		706.35
30.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	28.60	13.44	6.00	80.64
30.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი	0.41	0.19	3.20	0.61
30.3		სამაგრი ლითონის	ც	-	141.00	2.50	352.50
30.4		ფერადი თუნუქის ღარი	მ	100.00	47.00	5.8	272.60
31.0	სნდაწ 12_8_1	ფერადი თუნუქის წყალსაწრეტი დ=150 მმ მილის მოწყობა	100 გრძმ		0.72		977.28
31.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	28.60	20.59	6.00	123.54
31.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი	0.41	0.2952	3.2	0.94
31.3		სამაგრი ლითონის	ც	-	144.00	2.20	316.80
31.4		ფერადი თუნუქის მილი 150 მმ	მ	100.00	72.00	5.0	360.00
31.5		ფერადი თუნუქის ძაბრი	ც	-	8.00	7.0	56.00
31.6		ფერადი თუნუქის მუხლი	ც	-	24.00	5	120.00
32.0	ს.ნ.და წ. 15-168-6--8	არსებული აივნის გამაგრება ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან	ცალი		2.0	350.00	700.00
32	s.n.da w.15-52-1	ფასადის მაღალხარისხოვანი შელესვა ქვიშაცემენტის ხსნარით	კვმ		137.00		1396.08
32.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	0.93	127.410	6.00	764.46
32.2		ხსნარის ტუმბო 3 კუბმ/სთ	მანქ/სთ	0.02	2.740	7.72	21.15
32.3		სხვადასხვა მანქანები	ლარი1	0.03	4.110	3.20	13.15
32.4		ხსნარი ცემენტის მოსაპირკეთებელი	კუბმ	0.026	3.562	110.00	391.82
32.5		ბადე ბათქაშის	კვმ	1.000	137.000	1.50	205.50
33	s.n.da w. 15-168-7	ფასადის შეღებვა ფასადის მაღალხარისხოვანი წყალემულსიური საღებავით	კვმ		137.00		1109.88
33.1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	0.658	90.15	6.00	540.90
33.2		სხვადასხვა მანქანები	ლარი1	0.01	1.37	3.20	4.38
33.3		საღებავი წყალემულსიური, წყალმედეგი, სილიკონიანი	კგ	0.63	86.31	5.00	544.55

400164326

33.4		ფითხი ფასადის	კგ	0.92	126.04	1.00	126.04
33.5		სხვა მასალები	ლ	0.016	2.19	3.2	7.01
		სამშენებლო რესურსების მიხედვით პირდაპირი დანახარჯების ჯამი	ლარი				**50088.21**
		1. შრომითი რესურსები	ლარი				11667.35
		2. სამშენებლო მანქანები	ლარი				2253.23
		3. მატერიალური რესურსები	ლარი				36167.63
		სამშენებლო რესურსების მიხედვით პირდაპირი დანახარჯების ჯამი	ლარი				50088.21
		ზედნადები ხარჯები	9%				4507.94
		ჯამი	ლარი				54596.15
		სახარჯთაღრიცხვო მოგება	7%				3821.73
		სულ	ლარი				58417.88
		რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე 5 %	5%				2920.89
		ჯამი					61338.77
		დღგ 18%	18%				11040.98
		ჯამი					72379.75

მიმწოდებელი:_____ მ.ა.

მპგ რეკონსტრუქცია-XXI
400164326
REKONSTRUGCIA-XXI LTD

ფასების ცხრილი

ქ. ბათუმში ჭავჭავაძის ქ. №9 სახურავის მოწყობასა
და სახლის ნაწილის აღდგენაზე შენობის ელ.განათებაზე

№	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა		სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	
				განზომილების ერთეულზე	საპროექტო მონაცემებზე	განზომილების ერთეულზე	სულ
1	2	3	4	5	6	7	8
1	ს.ნ.დაწ 8–525–1	**ავტომატური ამომრთველები 16ა**	0		2		50,90
1,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	2,71	5,42	6	32,52
1,2		მანქანები	ლ	0,06	0,12	3,2	0,38
1,3		ავტომატური ამომრთველები 16ა	0		2	9	18,00
2	ს.ნ.დაწ 8–402–2	**სპილენძისძარღვიანი სადენის გაყვანა**	მ		80		159,87
2,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	0,13	10,4	6	62,40
2,2		მანქანები	ლ	0,037	2,96	3,2	9,47
2,3		სადენი პვ-3X2,5 კვმმ	მ		80	1,1	88,00
3	ს.ნ.დაწ 8–591–2	**ჩაფლული ტიპის ჩამრთველების მონტაჟი**	0		5		31,08
3,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	0,2	1	6	6,00
3,2		მანქანები	ლ	0,005	0,025	3,2	0,08
3,3		ჩამრთველი ერთპოლუსა	0		5	5,0	25,00
4	ს.ნ.დაწ 8–591–7	**ჩაფლული ტიპის შტეფსელური როზეტის მონტაჟი**	0		2		12,65
4,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	0,22	0,44	6	2,64
4,2		მანქანები	ლ	0,002	0,004	3,2	0,01
4,3		შტეფსელური როზეტი	0		2	5	10,00
5	ს.ნ.დაწ 8–605–1	**სანათის დაკიდება**	0		8		224,58
5,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	2	16	6	96,00
5,2		მანქანები	ლ	0,96	7,68	3,2	24,58
5,3		სანათი НБО IX60	0		8	12	96,00
5,4		ნათურა 60ვტ	0		8	1	8,00

400164326

		ლოკალურ-რესურსული უწყისის ჯამი	ლარი				479,08
		1. შრომითი რესურსები	ლარი				199,56
		2. სამშენებლო მანქანები	ლარი				34,52
		3. მატერიალური რესურსები	ლარი				245,00
		სამშენებლო რესურსების მიხედვით პირდაპირი დანახარჯების ჯამი	ლარი				479,08
		ზედნადები ხარჯები 75%	ლარი				149,67
		ჯამი	ლარი				628,75
		გეგმიური დაგროვება 7%	ლარი				44,01
		სულ	ლარი				672,76
		რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე 5 %	5%				33,638
		ჯამი					706,40
		დღგ 18%	18%				127,152
		ჯამი					833,55

* REKONSTRUGCIA-XXI LTD * 400164326

ფასების ცხრილი

ქ. ბათუმში ჭავჭავაძის ქ. №9 სახურავის მოწყობასა
და სახლის ნაწილის აღდგენაზე

№	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა		საბარგუთალრიცხვო ღირებულება	
				განზომილების ერთეულზე	საერთო მონაცემებზე	განზომილების ერთეულზე	სულ
1	ს.ნდაწ 22-8-1	20 მმ-ნი წყალსადენის პოლიეთილენის მილების მოწყობა	1 კმ		0,015		33,35
1,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	95,9	1,44	6	8,64
1,2		მანქანები	ლ	45,2	0,68	3,2	2,18
1,3	საბაზრო	მილი, დ-20მმ	მ		15	1,5	22,50
1,4		სხვა მასალები	ლ	0,6	0,009	3,2	0,03
2	ს.ნდაწ 16-6-1	50 მმ-ნი კანალიზაციის პლასტმასის მილების მოწყობა	100 მ		0,1		66,59
2,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	60,9	6,09	6	36,54
2,2		მანქანები	ლ	0,21	0,02	3,2	0,06
2,3	საბაზრო	მილი, დ-150მმ	მ		10	2,5	25,00
2,4		სხვა მასალები	ლ	15,6	1,56	3,2	4,99
3	ს.ნდაწ 16-6-2	100 მმ-ნი კანალიზაციის პლასტმასის მილების მოწყობა	100 მ		0,13		119,32
3,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	58,3	7,58	6	45,48
3,2		მანქანები	ლ	0,46	0,06	3,2	0,19
3,3	საბაზრო	მილი, დ-100მმ	მ		13	5,00	65,00
3,4		სხვა მასალები	ლ	20,8	2,704	3,2	8,65
4	ს.ნდაწ 17-1-4	ჩელსაბანის მოწყობა	კომპ		3		304,42
4,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	1,72	5,16	6	30,96
4,2		მანქანები	ლ	0,06	0,18	3,2	0,58
4,3	საბაზრო	პირსაბანი	კომპლ		3	90	270,00
4,4		სხვა მასალები	ლ	0,31	0,9	3,2	2,88
5	17-1-1	უნიტაზების მოწყობა	კომპ		3		354,19
5,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	2,44	7,32	6	43,92
5,2		მანქანები	ლ	0,13	0,39	3,2	1,25
5,3	საბაზრო	უნიტაზი	კომპ		3	100	300,00
5,4		სხვა მასალები	ლ	0,94	2,82	3,2	9,02
6	ს.ნდაწ 22-23-1	პლასტმასის ფასონური ნაწილები	10ც		1,6		228,89
6,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	5,84	9,34	6	56,04
6,2		მანქანები	ლ	2,27	3,63	3,2	11,62
6,3	საბაზრო	ფასონური ნაწილები	ც		16	10	160,00
6,4		სხვა მასალები	ლ	0,24	0,384	3,2	

ნ.ტ. „რეკონსტრუქცია-XXI" * REKONSTRUCJA-XXI LTD * 400164326

7	ს.ნდაწ 17–1-8	ტრაპის მონტაჟი დ-50 მმ	მ		3		27,53
7,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	0,46	1,38	6	8,28
7,2		მანქანები	ლ	0,02	0,06	3,2	0,19
7,3	საბაზრო	ტრაპი, დ50მმ	მ		3	6	18,00
7,4		სხვა მასალები	ლ	0,11	0,33	3,2	1,06
8	ს.ნდაწ 22–27-1	წყალსადენის შეჭრა არსებულ ქსელში	შეჭრა		2		18,64
8,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	1,24	2,48	6	14,88
8,2		მანქანები	ლ	0,26	0,52	3,2	1,66
8,3	საბაზრო	მილი, დ2000	მ	0,4	0,80	1,5	1,20
8,4		სხვა მასალები	ლ	0,14	0,28	3,2	0,90
9	ს.ნდაწ 16–12-1	ვენტილი, დ-2000	მ		3,0		59,70
9,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	1,51	4,53	6	27,18
9,2		მანქანები	ლ	0,13	0,39	3,2	1,25
9,3	საბაზრო	ვენტილი, დ-2000	მ		3	10,2	30,60
9,4		სხვა მასალები	ლ	0,07	0,21	3,2	0,67
14	ს.ნდაწ 16–19-1	წყალმზომის მოწყობა დ-2000	მ		1,0		190,20
14,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	5,68	5,68	6	34,08
14,2		მანქანები	ლ	0,33	0,33	3,2	1,06
14,3	საბაზრო	წყალმზომი,	მ		1	77	77,00
14,4		ვენტილი, დ-2000	მ	2	2	12	24,00
14,5	საბაზრო	ჩასაშვები ონკანი	მ		1	15	15,00
14,6		ჭანჭიკი-ქანჩით	კგ	2,6	2,6	3	7,80
14,7		სამაგრი	მ	10	10	2,5	25,00
14,8	საბაზრო	პოლიეთილენის მილი, დ-20	მ	0,6	0,6	3,5	2,10
14,9		სხვა მასალები	ლ	1,3	1,3	3,2	4,16
15	ს.ნდაწ 17–3–3	წყალშემრევი ხელსაბანებისთვის	მ		3		120,53
15,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	0,82	2,46	6	14,76
15,2		მანქანები	ლ	0,01	0,03	3,2	0,10
15,3	საბაზრო	წყალშემრევი ხელსაბანებისთვის	მ		3	35	105,00
15,4		სხვა მასალები	ლ	0,07	0,21	3,2	0,67
16	ს.ნდაწ 17–6-2	ერთსექციანი უჟანგი ჭურჭლის სარეცხელას მონტაჟი	კომპლ		1		61,48
16,1		შრომითი დანახარჯები	კაც/სთ	2,71	2,71	6	16,26
16,2		მანქანები	ლ	0,02	0,02	3,2	0,06
16,3	საბაზრო	სამრეცხაო ნიჟარა	კომპლ		1	45	45,00
16,4		სხვა მასალები	ლ	0,05	0,05	3,2	0,16
		ლოკალურ-რესურსული უწყისის ჯამი	ლარი				1584,84
		1. შრომითი რესურსები	ლარი				337,02
		2. საშუალებლო მანქანები	ლარი				20,20

400164326

		მატერიალური რესურსები	ლარი				1227,62
		სამშენებლო რესურსების მიხედვით პირდაპირი დანახარჯების ჯამი	ლარი				1584,84
		ზედნადები ხარჯები	9%				142,64
		ჯამი	ლარი				1727,48
		გეგმიური დაგროვება	7%				120,92
		სულ	ლარი				1848,40
		რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე 5 %	5%				92,42
		ჯამი					1940,82
		დღგ 18%	18%				349,35
		ჯამი					2290,17

REKONSTRUGCIA-XXI LTD
400164326

საერთო ფასების ცხრილი

საერთო სამშენებლო სამუშაოებზე ქ. ბათუმში ჭავჭავაძის ქ. №9 სახურავის მოწყობასა
და სახლის ნაწილის აღდგენაზე

1	საერთო სამშენებლო სამუშაოებზე ქ. ბათუმში ჭავჭავაძის ქ. №9 სახურავის მოწყობასა და სახლის ნაწილის აღდგენაზე	72379,75
2	ქ. ბათუმში ჭავჭავაძის ქ. №9 სახურავის მოწყობასა და სახლის ნაწილის აღდგენაზე	2290,17
3	ქ. ბათუმში ჭავჭავაძის ქ. №9 სახურავის მოწყობასა და სახლის ნაწილის აღდგენაზე და შენობის ელ. განათებაზე	833,55
	ჯამი	75503,47

შპს რეკონსტრუქცია-XXI
400164326
REKONSTRUQCIA-XXI LTD

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი

09 ნოემბერი, 2016 წ.

ვადასტურებ, რომ წარმოადგენს შემსყიდველის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (გადაუდებელი აუცილებლობა) ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩა № 9 ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე ჩამონგრეული კედლის აღდგენისა და სახურავის მოწყობის შესყიდვა (CPV45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, CPV45262690 - ჩამოქცეული/დანგრეული შენობების აღდგენა; CPV45261210 - სახურავის გადახურვა; CPV45261910 - სახურავის შეკეთება) სახელმწიფო შესყიდვა.

ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი:

დავით კასრაძე